უძლური ბოროტება

(პასუხად "კვალის" რედაქციას)

1

"კვალი" ბოლო ხანს ძაან გამამაცდა ჩემს წინააღმდეგ ,ისე გამამაცდა, რომ ლამის ფრთები შეისხას. მართალია, ჭიანჭველა რომ ფრთებს გამოისხამს, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო;მაგრამ სად ჭიანჭველა და სად იმისთანა გოლიათი, როგორიც ბრძანდება ბ-ნი გიორგი წერეთლი.ამ უკანასკნელს ერთ ლუკმად არ ეყო ჩემი "მოსავლის მცველნი". აიღო, უწყალოდ დაანიავა და მისცა წყალსა მდინარსა. მათემატიკური აქსიომასავით დაამტკიცა, რომ იგი მავნებელი წიგნია, რადგანაც ქადაგებს აზრებს კარლe ფოხტისას,ბრემისას, ვაგნერისას, ბაღდანოვიჩისას და სხვათა ბუნების მეტყველთა და არა "კვალის" დიდი მეცნიერისას. ყბის მეორე მოქნევით ამ გოლიათმა შეუბრალებლად გადაყლაპა ჩემი პატარა მოთხრობა: "მეფე ერეკლე და ინგილო ქალი". ამისი მავნებლობაც დიდისა და პატარისთვის დღესაც ცხადად დაგვანახვა, რადგანაც აღმოაჩინა, რომ ჩემი მოთხრობა აღარაფრითა ჰგავს "რუხ მგელს",უკვდავსა და კლასიკურს ქმნილებას ჩვენის უებრო ბელეტრისტისას.

ამასთან რედაქციამ გამოიჩინა სამაგალითო თავმდაბლობა. ეს მეორე სასიქადულო კრიტიკა, შექმნილი ღირსეულთა მეუღლეთა შეერთებული გონებრივი ძალით, მიასაკუთრეს ვიღაც გარეშე პირს, ორს 20-ქვეშ მიმამულსა. მაგრამ აქ იმალება მორცხვობის გამო მხოლოდ რედაქცია და სხვა არავინ. ეს ღვაწლი ეკუთვნით თვითონ ცნობილ მეუღლეთა სავსებით. ერთი 10 გახლავთ მეფე, მეორე 10 დედოფალი. დუეტი გამოდის საამო, მშვენიერი, კეთილშობილური, ჰარმონიით სავსე და ფრიად ნაყოფიერი.

ხუმრობა იქით და როგორ მოგწონთ ეს მალულობა? სხვა რედაქციები თვითონ კისრულობენ პასუხის გებას ამა თუ იმ წერილისას, თუ თანახმანი არიან მისი შინაარსისა "კვალის" რედაქციას-კი თავის საკუთარს ნაცოდვილარს აბრალებს სხვას, გარეშე პირსა. რად? ალბათ იმიტომ, რომ მკითხველს თვალები აუბას, უძლური სიბოროტის ნაყოფი კრიტიკად მოაჩვენოს, სიცრუეს ჭეშმარიტების სახე მისცეს. აშკარაა, რომ თვითონ რედაქციას სათაკილოდ მიაჩნია თავისი წერილი, თორემ ნიღაბის ჩამოფარებას რად იკადრებდა.

სიყალბით დაწყობილი წერილი სიყალბითვე გრძელდება და სიყალბითვე თავდება.

წერილის სათაურში ვხედავთ ნიანგის ცრემლების ღვრას. რაზედ ჰგოდებენ და სტირიან ცხარე ცრემლებით ცნობილნი მეუღლენი? პირადობის გამეფებაზედ ჩვენს ლიტერატურაში, პირადის ჯიბრის აღორძინებაზედ, უკადრისს პოლემიკაზედ, კერძო ცხოვრების შეხებაზედ. გამოდის, რომ მეუღლენი ნამდვილი კრავები არიან. არიან უმანკონნი და უცოდველნი, და ამ უმანკოთა არსებათა დასევიან სხვანი, ვითარცა მგლები ჩვენის ლიტერატურისა. თვით მაცხოვრის დროის ფარისეველნი შურის თვალით შეხედავდნენ ამ ოინს, თავისი საკუთრის ცოდოს მოხვევას სხვის თავზედა. ვაჟო, და ყველაზედ მეტად ვინ შეუწყო ხელი ამ პირადობის გამეფებას ჩვენს ლიტერატურაში, თუ არა "კვალის"რედაქციამ? ვინ ააღორძინა ამ ბოლოს წლებში ინტრიგა ინსინუაცია, კიცხვა და ლანძღვა, თუ არა მეუღლეთა ორგანომა? აიღეთ თუნდა მთელის ხუთის წლის კიცხვა, კილვა და ლანძღვა ჩემი. რითია იგი გამოწვეული და სავსე, არა პირადობით? პრინციპიალური მხარე დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვნით შიგ. რამდენს უკითხავს ჩემთვის, ერთი ამიხსენით,რამ ააყაყანა

"კვალის" რედაქცია შენ წინააღმდეგ და რაში არ გეთანხმებაო? თვითონ სათაურები წერილისა მოწამეა პოლემიკის პირადის ხასიათისა "იაკობ სიმონიძე და მისი ვაღიარო" "იაკობ გოგებაშვილი და მისი ხუხულა", იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი "ნაცნობი" და სხვანნი და სხვანნი. ოცობით და ორმოცობით "კვალის" მიერ დაწერილს წერილებში ჩემს წინააღმდეგ ვერ მოსძებნით ვერც ერთსა, რომელსაც საგნებრივი სახელი ერქვას. პირადს სათაურს ყოველთვის მოსდევდა პირადივე შინაარსი. ჩვენს საპასუხო წერილებში-კი ვერც ერთს ვერ დავასახელებ იმისთანას, რომელსაც პირადი სახელი ერქვას და პირადი შინაარსისა იყოს. მოსაგერიებელ ანტიკრიტიკას ჩვენ ყოველთვის ვხმარობდით და ვხმარობთ საკითხების გამოსაკვლევად, ვიბრძოდით, საბუთებით და ფაქტებით და თუ პოლემიკურს სტრიქონებს გავურევდით ხოლმე, ისიც ხილად და იმისთანებს, რომელნიც ახასიათებდნენ ბ-ნი გიორგი წერეთელს, როგორც ლიტერატორისას, საზოგადო ასპარეზედ მოქმედისას და არა როგორც კერძო პირს, ოჯახის პატრონს. აგრეთვე თუ ამ წერილში ვეხებით მისს მეუღლეს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს "კვალისას", ეს იმიტომ,რომ იგი დიდს მონაწილეობას იღებს პოლემიკაში, დაუღალავად უმატებს მუგუზლებს ცეცხლში, და ძლიერა სწყინს, როცა ფაქტიურს რედაქტორად რაცხავენ და უყურადრებოდ სტოვებენ. როცა შარშან "კვალმა"შეურაცხყოფა მიაყენა თ.დიმ.ერისთავსა და ამან მოსთხოვა დაკმაყოფილება ბ-ნს გიორგი წერეთელს, უკანასკნელმა უპასუხა:მე რას მერჩი, მე მხოლოდ უბრალო შემთხვევითი თანამშრომელი ვარ, გაზეთს თავისი რედაქტორ-გამომცემელი ჰყავს, მას მიმართეთო. ჩინებული მდგომარეობა შეჰქმნა თავისთვის ბ-ნმა გიორგი წერეთელმა. როცა "კვალში" გაკეთდება რამე, იგი გაიძახის:მე გახლავარ ბიჭიო, როცა გაფუჭდება გაიშვერს თითს პატივცემულის ანასტასია მიხეილის ასულისაკენ და გეტყვით: სულ ეს არის, რაც არისო. უცხო სურათია, თუ თქვენც დამეთანხმებით, მკითხველნო...

თვითონ "კვალი"კი სხვების პირადობას ისეთი საკადნიეროთ ეპყრობა, რომ კაცს გაოცებიდან გამოიყვანს. შორს რომ არ წავიდეთ, დავასახელებთ სულ უახლესს მის უკადრისს საქციელსა. ამ დღეებში მან "ცნობის ფურცლის"რედაქციაზედ სთქვა, რომ იგი შესდგება ზნე-წამხდარი პირებისაგანაო. და ასეთის ლანძღვის მოყვარული ბედავს ნიანგის ცრემლები ღვაროს ჩვენის ლიტერატურის დაცემაზედ. კიდევ კარგი, რომ შეურაცხყოფილმა რედაქციამ იობის მოთმენა გამოიჩინა და არ მოიქცა შესაბამად ძველებურის პრინციპისა :თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. თორემ ლანძღვის მოტრფიალეს ბევრი ძმარი ედინებოდა ცხვირიდგან ასე, რომ თუ ვისიმე პოლემიკა არის უღირსი და უკადრისი, ეს უპირველესად ყოვლისა, "კვალის"პოლემიკაა. ამის გამო ყველას სრული საბუთი აქვს უთხრას ამ შემთხვევაში რედაქციას: чем кумушек считать трудиться, не лучше- ли на себя, кума, оборотиться.

"კვალის" მმართველნი თავისს თავს სრულს ნებას აძლევენ პირადი ჯავრი იყარონ ჩემზედ და ჩემს წიგნებზედ, მე კი მიკრძალავენ გამოსარჩლებასა. ვის გაუგონიაო კრიტიკოსს გამოედაოს ავტორი რომელიმე ლიტერატურულის ნაწარმოებისაო, ამას სალიტერატურო ეთიკა ვერ შეიწყნარებსო. სამართლიანს და მართებულს გამოსარჩლებას ავტორისას ყოველთვის იწყნარებდა და იწყნარებს ეთიკა: მაგრამ იგი იმას-კი ჰგმობდა და ჰგმობს, როდესაც პირადი ბოროტება ამოქმედებს რომელიმე მწერლის კალამსა. სალიტერატურო ეთიკა მისაბაძავად მიუთითებს ამ შემთხვევაში შემდეგ მაგალითსა. წარსულს საუკუნეში საფრანგეთში ორნი ლიტერატორნი, დიდი ხნის მეგობარნი, ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ერთმა მეორე დღესვე გამოაცხადა გაზეთებში:"მე წავეჩხუბე ამა და ამ ჩემს მეგობარს და იმის შემდეგ ნუღარაფერს დამიჯერებთ მის შესახებ, ვინიცობაა ღმერთი გამიწყრა, სულმა წამძლია და ცუდი რამე დავბეჭდეო. იცოდეთ რომ ეს ცუდი იქნება ნაყოფი პირადი სიბრაზისა, რომელიც არის წყარო

ყოველთვის უკადრისობისა და უსამართლობისაო" აი რას გვასწავებს ნამდვილი ლიტერატურული მაგალითი და ეთიკა. ხოლო რა გაკადნიერებით არღვევს "კვალის" რედაქცია ამ კეთილშობილს ეთიკას ჩემს შესახებ და სხვების შესახებაც, ეს მკითხველმა კარგად იცის.

"კვალის" ვაჟბატონი მოგაგონებს იმ მეთევზესა, რომელსაც სული მისდიოდა ბევრი თევზის დაჭერისათვის, მაგრამ ფეხების დასველების-კი ძლიერ ეშინოდა. კიცხვა და კილვა სხვისი მას ძლიერ იამება, ცრუ ინსინუაციებს ორივე ხელით სთესავს. მაგრამ სამაგიეროს მოლოდინი-კი მას აძრწუნებს და ათრთოლებს. ვწერთ ამასაო, ამბობს იგი, და თან მეშინიან, ქელენჯის ქარები მაჩნდებაო, ვაი, თუ ჩვენი მოწინააღმდეგე ჩვენ კადნიერად შეგვეხოსო. შეხებაც გახლავს და შეხებაც. ცილის წამებით შეხება არცხვენს თვით ცილის მწამებელს და ამაღლებს საზოგადოების თვალში ტყუილად დაწამებულსა წინააღმდეგ ამისა სამართლიანი გამოაშკარავება რომელიმე ცოდვილი ლიტერატურულის ფიზიონომიისა მართლა საშიშარია მისთვის, რადგანაც ამითი მას სამარე ეთხრება მკითხველთა თვალში. ცხადია. ვაჟბატონს ეშინიან მწარე ჭეშმარიტების გამოქვეყნებისა და წინადვე სურს აღძრას სიბრარული გულუბრყვილო მკითხველში, რათა მუქთა ადვოკატი მოიპოვოს იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ჭაობში ღრმად ჩაეფლას და საკუთარი ძალით ამოსვლა ვეღარ შესძლოს.

2

რას უწუნებს რედაქცია მოთხრობასა? იგი ცდილობს მკითხველს ჩააგონოს, რომ თემა მოთხრობისა შეუძლებელია რა დასაჯერებელიაო, რომ თორმეტის წლის ინგილო გოგოს, ისიც გლეხის შვილსა, გამოეჩინოსო იმდენი უშიშრობა, რომ ზევით ხიდგან დაეზილოს ერთი ბღუჯა ქლიავი მეფე ერეკლესათვის, რომელიც მას ჰგონია ყიზილბაში, სპარსელი, რადგან ქართულის ქუდის მაგივრად თავზედ სპარსული ჩალმა ხურებია. რედაქციის საუბედუროდ, ეს ამბავი არამც თუ შესაძლებელია, არამედ ნამდვილ ისტორიულს ფაქტად უნდა იქმნას აღიარებული.ეს თქმულება ძლიერ გავრცელებულია ქიზიყში და არა ერთს ქართველს ინტელიგენტს გაუგონია იგი. გარდა ამისა, იგი როგორც მომხდარი ფაქტი, მოჰყავს ალექსანდრე ორბელიანს, ერთს თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა რამდენისამე წლის წინათ"ივერიაში". მას ეს ამბავი გაეგონა თავისი დედისგან, თეკლე ბატონიშვილისგან, ხოლო ეს თეკლე ბატონიშვილი იყო უსაყვარლესი ქალი მეფე ერეკლესი, რომელიც მას თეკლე-ბიჭს ეძახდა, რადგანაც ვაჯკაცურს გამბედაობას იჩენდა თოფ-იარაღის ხმარებაში და ზოგს სხვა საქმეშიაცა. როცა ხალხის თქმულება და სამეფო გვარეულობის გადმოცემა ერთმხრივ ემოწმებიან რომელსამე ამბავსა, არ შეიძლება არ ვირწმუნოთ იგი ჩვენ და არ მივიჩნიოთ ნადვილ ისტორიულ ფაქტად. რა საკვირველია, უბრალო, ჩვეულებრივი კალაპოტის გოგოსათვის ესეთი გაბედულება და უნარი შეუძლებელია. მაგრამ განსაკუთრებულის ხასიათისაგან-კი სრულიად მოსალოდნელია. ყველა გარემოებიდან სჩანს, რომ ინგილო გოგო იყო დაჯილდოვებული ბუნებით. სწორედ ამ განსაკუთრებულის გამბედაობით და მისი მოქმედება არ განიზომება ყოველდღიური ტიპით, ჩვეულებრივი ალბათ, რაც ჟანა-დარკმა უშიშრობა და გამბედაობა გამოიჩინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა სხვა ფრანგ ქალებისათვის. ხოლო სხვებისათვის შუძლებელი მან სისრულეში მოიყვანა, რადგანაც ბუნებას მისთვის მიენიჭებინა მაღალი ხასიათი, ძლიერ იშვიათი უნარი და შეუპოვრობა. ცნობილ მეუღლეთა ლოგიკას რომ მივჰყვეთ,ჟანა-დარკის ისტორია არაკად უნდა ჩავთვალოთ. შეუძლებელ არაკადვე უნდა მივიჩნიოთ აკაკის ნათელას წასვლა მონგოლთ ურდოში, ნოინის კარავში გამოცხადება და მთელი მისი თავგადასავალი.

საზოგადოდ, ხალხის თვალს, გონებას და ფანტაზიას ჩვეულებრივს კალაპოტზედ ჩამოსხმული ადამიანი ვერ იზიდამს, რათი თქმულების საგნად გახდეს ხალხის პირში ვაჟი თუ ქალი, იგი უნდა იყოს არა ჩვეულებრივი ხასიათისა, მაღალი სულის პატრონი და ჩამდენი იშვიათი საქმისა, ღვაწლისა. ეს ანბანური ჭეშმარიტება წინედ „კვალის“ რედაქციამაც იცოდა, მაგრამ ახლა ესეც დავიწყებია ალბად ბრმა სიბრაზის მეოხებით.

ჩვენი კრიტიკანების აზრით ყველაზედ ძნელი დასაჯარებელი ის არის, რომ ინგილო გოგოს გული არ გაუსქდა და ხეხილიდგან ძირს ზღართა არ მოიღო, როცა ერეკლე მეფის მხლებლებმა შეუტიეს და მოსთხოვეს ძირს ჩამოსვლა და ბოდიშის მოხდა. მათ ავიწყდებათ, რომ ვინც დიდი გაბედულობა გამოიჩინა, იმას მცირე გაბედულობაც ადვილად შეუძლიან. უდიდესი გაბედულობა ინგილო გოგომ პირველი თვისი ნაბიჯით დაგვანახვა, როდესაც მთელი ბღუჯა ქლიავი დააზილა ხიდგან ერეკლე მეფეს, რომელიც ყიზილბაში ეგონა. გოგო ხედავს თავის ახლოს შეიარაღებულს სპარსელს თათარს, მტერს ქართველებისას,-ეს მტერი ზის ბედაურზედ, შეაირაღებულია თავით ფეხამდე, მას შეუძლიან თოფი მოიგდონ ხელში, სტყორცნოს ტყვია და ხიდგან მკვდარი ჩამოაგდოს. მაგრამ იცი, გატაცებული თავისი გულის ძლიერი მოძრაობით, უშიშრად აზელს თავში ქლიავებსა. ვიმეორებ, ეს ადგილი ჩემი მოთხრობისა, ეს სათავე მთელის ამბისა, ისტორიული ფაქტია და უშიშრობით და გაბედულობით კი ბევრით მაღლა სდგას შემდეგს ბელეტრისტულს ამბებზედ. მხლებლების შეტევა ამის ნახევრადაც ვერ შეაშინებდა პატარა ქალსა. მხლებელნი იყვნენ ჩაცმულნი ქართულად, ქუდებიც ქართული ეხურათ და ქალს ელაპარაკებოდნენ მისს დედა-ენაზედ. მათში ქალი ხედავდა წმინდა ქართველებსა-თავისიანებსა. თუ იგი თათარს და მისს იარაღსა არ შეუშინდა, როგორ შეუშინდებოდა ქართველთა სიტყვიერს მუქარასა? განა მას გონებაში არ გაუელვებდა ის აზრი, რომ ეს ჩვენებურები ისე, ყასიდად, მემუქრებიან, თორემ თათრის წყენისათვის როგორ გამომიტებენო.

ჩვენი ულმობელნი მეუღლენი ქალის წლოვანებაშიაც ხედვენ დაბრკოლებასა, შეუსაბამობასა. თორმეტის წლის გოგონა როგორ გამოიჩენდა ამისთანა გაბედულებასაო. ამის პასუხად, ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა გადმომცა მე შენდამი მსჯელობა მკითხველთა :რამდენმამე ქალმა ერთად თურმე წაიკითხა ჯერ მოთხრობა და მერე გაკილვა მისი „კვალში“ და ამ შენიშვნის შესახებ ასეთი აზრი წარმოსთქვა თურმე:იმაზედ პატარა რომ ყოფილიყო შეეშინდებოდა, იმაზედ დიდს შერცხვენებოდაო და სწორედ თერთმეტ-თორმეტის წლის გოგოს შეუძლიან გამოიჩინოს ისეთი უნარი და უშიშრობა, თუ დაბადებიდგან მას დაჰყოლია კერპი, უშიშარი ხასიათიო, რადგან ამ ხნის გოგო, განთავისუფლებული ბავშური სიმხდალისაგან, ჯერ ჩამდგარი არ არის ქალულწბრივს მორცხვობაშიო. ჩვენის მხრივ ამ მსჯელობას არაფერს დაუმატებთ, რადგანაც იგი სავსებით გამოხატავს ჩვენს საკუთარს მოსაზრებას, რომლითაც ვხელმძღვანელობდით, როცა ამ ადგილს მოთხრობისას ვსწერდით.

ქართველი ქალი ყოველთვის ცნობილი იყო მორცხვობით, მოკრძალებით და ინგილო გოგო როგორ გამოიჩენდა იმისთანა კადნიერებასაო. ბარემ ესეც დაემატებინათ;ქართველი ქალი ხეზედ ასული ვის უნახავსო. ამ მორცხობას იგინი არ დაებღაუჭებოდნენ თუ არ დავიწყებოდაო, რომქართველი ქალი წინედ, როცა კი გარემოება მოითხოვდა, იჩენდა სწორედ ვაჟკაცურს უნარსა და უშიშრობასა. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჯერ მეფე ერეკლეს ძლიერ უშიშარი ქალი, თეკლე ბიჭად წოდებული, მერე ანდრონიკაშვილის რძალი, რომელსაც წარსულის საუკუნის დამლევს, როცა თბილისიდგან მუხრანს მიდიოდა, მცხეთის ზევით ღართიკარში წინ გადაეღობა ლეკთა გუნდი, -მაგრამ მან მამაცად თავისი ჯარით

იერიში მიიტანა და გაფანტა და ეს გამარჯვება ქართველის ქალისა მთელმა თბილისმა იდღესასწაულა ჩირაღდნებით და საერთო ლხინით. მესამედ მარიამ დედოფალი, მეფე გიორგის მეუღლე, რომელმაც ხანჯლით მოჰკლა ლაზარევი და მეოთხედ კახეთის აჯანყება ამ საუკუნს მეთერთმეტე წელსი. ეს აჯანყება ვინ მოახდინა? ქართველმა გლეხის ქალმა, ქართველმა ქალებმა. ერთს მოკრთალე კახელს სალდათმა ძალა მიიტანა. შეურაწყოფილმა და გაალმასებულმა ქალმა ჩამოიღო კედლიდგან თოფ-იარაღი, შეისხა ტანზე, მიიჭრა კაცების გროვასთან, მოხადა ქუდი თავისს ქმარსა, თავისი ლეჩაქი იმას მოახვია თავზედ, დაიხურა ქუდი და გაეშვა სალდათებისაკენ. მას მიჰყვნენ სხვა ქალები, მერმე კაცები და მთელი კახეთი აჯანყდა. ქართველის ქალის ამისთანა გაბედულობით სავსეა ჩვენი ისტორია და მეტადრე საინგილოს წარსული.

საინგილო, როგორც განაპირი კუთხე საქართველოსი, ხშირად იყო ბრძოლის თეატრად. მას ეტანებოდნენ ,იჩემებდნენ ერთი მხრივ ლეკები, მეორე მხრივ სპარსელები, ყიზილბაშები. ქართველები, რასაკვირველა, არ ინებებდნენ. ბრძოლა იყო თითქმის განუწყვეტილი. ამ ბრძოლაში პირველი ადგილი ეჭირათ თვითონ ინგილოებს, რომელთაც თავის სიკვდილად მიაჩნდათ-მოსწყვეტოდნენ საქართველოს და გადაბირებულიყვნენ. მტერნი იყვნენ მრავალნი, ინგილონი მცირედნი, ქართლ-კახეთი შორს იყო. ხშირად ინგილოებს მარტო თავისი საკუთარი ძალით უნდა მოეგერებინათ ხოლმე მტერნი, რომელნიც ქურდულად დაესხმოდნენ ხოლმე თავსა და იკლებდნენ. ამ შემოსევების დროს მტარვალები ხშირად იტაცებდნენ ქალებსა ,მეტადრე ლამაზებსა და ტყვედ მიჰყავდათ. ქვეყანა აოხრდებოდა და განადურდებოდა, მამამკაცთა ძალას რომ მიშველებოდა ქალთა ძალა, თავისი ნამუსის, ოჯახის და ქვეყნის დასაცველად ინგილო ქალი გაუხდა თავისს ქმარს მეუღლედ არა მარტო შიანაობაში, არამედ ომშიც. იმან ისწავლა მარჯვედ ხმარება თოფ-იარაღისა, ქალური ტანისამოსი გაიმარტივა, და კარზედ მიმხდარს მტერს დაუხვდებოდა ხოლმე ხანჯლით და ტყვია წამლით. ამ სასტიკ გარემოებასი იზრდებოდა ინგილო ქალი დაბადებიდგან და ხასიათიც შესაფერად ეცვლებოდა. ამან დააკარგვინა მას ქართველის ქალის სიკეკლუცე;მაგრამ სამაგიეროდ მიანიჭა თითქმის ვაჟ-კაცური ძალ-ღონე და გამბედაობა. ახლა ინგილო ქალი უშიშრობით ბევრათ მაღლა სდგას არამც თუ ქართველს ქალებზედ, არამედ ლეკის ქალებზედაც. ამისთანა ნიადაგზედ აღმოცენება და გაზრდა იმისთანა გამბედავი ქალისა, როგორიც არის ჩვენი ინგილო გოგო. არამც თუ შესაძლებელია, აუცილებელიც არის. თუ ეს წარსული საინგილოსი არ იცის ბ-ნმა გიორგი წერეთელმა, რიღას ისტორიკოსი ყოფილა და თუ იცის და მაინც განზრახ გაიძახის თავისას, შაბაშ მისს ადამიანობასა და მამულიშვილობასა!..

ყველაზედ მეტად ..კვალის'' პატრონებს არ ეპიტნავებათ ისა, რომ სასიქადულო ინგილო გოგო გლეხის შვილია.ჩვენს ინსტიტუტებსა და გიმნაზიებში თავად-აზნაურთა ქალები მთელის თორმეტის წლის განმავლობაში იძენენ განათლებასა და მაინც ვერა სწავლობენ მამულიშვილობასაო და გლეხის, ტეტიას ქალმა, კერასთან გაზრდილმა როგორ შეითვისა იმისთანა მხურვალე სიყვარული მამულისაო. უცხო ვინმემ რომ წაიკითხოს ეს სტრიქონები, ეგონება, რომ საქალო სასწავლებელში პირველი ადგილი უჭირავს ქართულს ენასა, ლიტერატურისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა და მამულის სიყვარულის დანერგას და აღორძინებასა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იქ სწავლას ასულდგმულებს და აცხოველებს სრულიად სხვა მიმართულება, სხვა მიზანი და დანიშნულება. ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად

თავისი მამულისა კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინგილოშიაც უნდა აეღორძინებინა. საზოგადოდ შენიშნულია, რომ განაპირა კუთხეები ქვეყნისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირი და ეროვნებას მეტი შიში მოელის, მამულის სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შუაგულ ადგილებში. ''კვალის'' ხელმძღვანელი გვაჯერებს ჩვენ, რომ ნამდვილი მამულიშვილობა მხოლოს თავად-აზნაურობაში იპოვებოდა და იპოვებაო და გლეხობა კი მოკლებული იყო და არის იმ უმაღლესს გრძნობასაო. ამას ქადაგებს ის ვაჟბატონი, რომელმაც თავისი თავი დიდი ხანია გამოაცხადა მესამე დასის მეთაურად, იმ დასისა, რომლის ძირითადი მცნება წმინდა დემოკრატიულია. ამ დასს უთუოდ აზრად არ მოუვიდოდა, რომ არა მკითხე მოთავე მოტრფიალეა კუდაბზიკობისა, იმ პრინციპისა, რომელიც წინადაც ასუსტებდა ჩვენს ქვეყანასა, ახლაც აუძლურებს და შემდეგში საფლავს გაუთხრის მას, თუ ეს პრინციპის ქვეშ არ გაერთდნენ ყველა ჩვენი წოდებანი. სომხების მოყვარულს გიორგი წერეთელს სწორედ ის გამოჰპარვია მათი არსებობიდგან, რაც მათ მტკიცედ აკავშირებს, ერთიან ერად ხდის და შეადგენს მთავარს ძალას მათი წარმატებისას ვიწრო წოდებრივის პრინციპის უარ-ყოფა. თავისი მეგობრების მთავარ ღირსებისათვის ზურგი შეუქცევია და მათი ნაკლულევანების შეთვისებას-კი გვიქადაგებს. ჭკუაც ასეთი უნდა. ჩვენ არა ერთხეკ გვიღიარებია ხმა-მაღლა ქართველი თავად-აზნაურობის დიდი ისტორიული ღვაწლი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ თავანკარა, წმინდა მამულიშვილობა უფრო გლეხებში მოიპოვებოდა და მოიპოვება , ვიდრე მაღალ-წოდებაში. თავადი და აზნაური უპირველესად ყოვლისა თავ-მომწონეა, მას თავისი თავი დაბადებიდგანვე რჩეულ არსებად მიაჩნია, ქვეყნის მარილად და პირადი სახელოვნობა თავის კერპად აქვს დასახული. როცა თავადი, ან აზნაური სწირავს თავისს თავს ქვეყანასა, იგი მოელის სახელგანთქმულობას, მუდმივ ხსოვნას ჩამომავლობაში , ქვეყნიურს უკვდავებას ერთი სიტყვით დიდ ჯილდოსა. ხოლო როცა გლეხი ქვეყნის მტრებს აკლავს თავსა, იგი არ მოელის არც სახელს, არც ქვეყნის ტაშს, არც სხვა რამე ჯილდოსა. იგი ასრულებს წმინდა მოვალეობას სინიდისის, ქვეყნის და ღვთის წინაშე. პირველ შემთხვევაში თავდადებულობაში ურევია ეგოიზმი, როგორც წმინდა პურში მახობელი, მეორე შემთხვევაში კი ეგოიზმს ადგილი არა აქვს, პური სავსებით უმახობლოა. ავიღოთ, მაგალითად, კრწანისის ბრძოლა და ვიკითხოთ: ვინ უფრო ძლიერი და წმინდა მამულიშვილობა გამოიჩინა აქა? მიუცილებლად იმ სამასმა გლეხმა კაცმა, ფშავ-ხევსურმა, რომელთაც ერთმანეთს მტკიცე ფიცი მისცეს ომის წინ: ან გავიმარჯვოთ, ან სულ ყველანი მტერს შევაკვდეთო, და კიდევაც აასრულეს თავის წმინდა ფიცი ისეთის თავდადებულობით, რომლის უკეთესს მთელს მსოფლიო ისტორიაში ვერ მოსძებნით. ყველა მათგანმა უკანასკნელ კაცამდე თავი შესწირა მამულსა, ყველამ კრწანისის ველზედ დალია გმირული სული მამულის გულისათვის. არც სახელი და არც გვარი მათი არ დარჩენილა ისტორიაში და არც იმედი ჰქონდათ ამისი მათ. აი მაგალითი ჩუმი, შინაგანი, ინტენსიური წმინდა მამულიშვილობისა. ამისთანა თავანკარა მამულიშვილობით სავსეა წარსული ცხოვრება ჩვენი გლეხობისა. ამავე გლეხობას ეკუთვნოდა, როგორც გარემოებიდან ჩანს, თავდადებული თევდორე მღვდელი, რომელმაც თავისი თავი, ცოლ-შვილი შესწირა მამულსა და მეფესა.

აი კიდევ მეორე მაგალითი, რომელსაც უფრო მახლობელი კავშირი აქვს ინგილო ქალის ამბავთანა. ქართლის მეფე სიმონ, დამარცხებული სამეგრელოს ჭაოებეში, მარტოდ-მარტო წამოვიდა თბილისისაკენ, გადმოიარა კორტოხი, ჩამოვიდა ქართლში

და კავთისხევს რომ მმიუახლოვდა, ღამემ უსწრო.ამ სოფელში მაშინაც სცხოვრობდნენ და ეხლაც ცხოვრობენ თავადნიც და აზნაურნიც მაგრამ მან ამათ ყველას გვერდი აუქცია და ესტუმრა გლეხის ქვლივიძის ოჯახსა.ეს გლეხ და მისი უფროს შვილები სალაშქროდ იყვნენ მაშინ სამეგრელოში სვიმონ მეფის ჯარში, და ამიტომ სტუმარი მიიღო გლეხის ცოლმა, რომლმაც მეფე ვერ იცნო, რადგანაც არც ენახა და უბრალო ტანისამოსიც ეცვა. დიასახლისი მიეგება ქართველურის სტუმართ-მაყვარეობით და გულუხვად გაუმასპინძლდა. როცა გაიგო, რომ სტუმარი ლაშქრობიდგან მოდიოდა, ჰკითხა თავისი ქმრისა და შვილების ამბავი. სტუმარმა მათი არაფერი იცოდა და ვერაფერი უპასუხა. მაშინ ამ გლეხის, ტეტიის ცოლმა წარმოსთქვა:ნეტავი ქვეყნის პატრონი მეფე ღმერთმა დაიფაროს და ჩემი ქმარ-შვილნი თუნდა სულ მას ენაცვლონო. მეორე დილას სტუმარი გაემგზავრა თბილისისაკენ. ცოტა ხანს შემდეგ ამ ქალის ქმარს სვიმონ მეფისაგან აზნაურობა მოუვიდა. მხოლოდ მაშინ შეიტყო გლეხის ცოლმა, თუ ვინ ყოფილიყო მისი უცნობი სტუმარი. ეს მაგალითი მოწამეა იმისი რომ მამულის სიყვარული,ქვეყნის პატრონის-მეფის ერთგულება იმდენად ძლიერი იყო ორივე სქესის გლეხთა შორის, რომ სჭარბობდა საკუთარის სახლობის სიყვარულსა, ამ უძლიერეს პირადს გრძნობასა ადამიანისას. მეორე მხრივ ეს ამბავი გვიჩვენებს, თუ რა პატრიარქალური, მამაშვილური ურთიერთობა და კავშირი სუფევდა ჩვენს მეფეთა და გლეხთა შორის.

ეს ურთიერთობა მოშორებული იყო იმ სამარცხვინო კუდაბზიკობას, რომელიც გლეხთა კრებულს ეძახის ტეტიათა გროვასა, და რომელიც ამას წინედაც ცხადად გამოიჩინა ბ.გიორგი წერეთელმა, როცა დაბეჭდა „კვალის“ ფურცელზედ:მარგალისკუა ნიშნავს გლეხსა და ბ-ნ გუნიას შესახებ ეს სიტყვა ვიხმარე ზიზღის გამოსათქმელად. მის აზრით, გლეხი სალანძღავი, საზიზღარ სახელი ყოფილა. ყოჩაღ,მესამე დასია არა მკითხე მეთაურო. ამას სამარცხვინოდ მიიჩნევდა თვით უკიდურესი მოტრფიალე აწ განსვენებულის ბატონ-ყმობისა, სამარცხვინოდ მიიჩნევდა თვით ლუარსაბ თათქარიძე, თვით მეშჩერსკი, რედაქტორი რეტროგრადიული „Граждании“ -ისა. ჩვენდა სასიხარულოდ, უმრავლეოსობამ ჩვენის თავადაზნაურობისამ დიდი ხანია ზურგი შეაქცია ვიწრო წოდებრივს პრინციპსა და მტკიცედ დაადგა უკვდავი რუსთაველის მცნებასა: თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა. თავადაზნაურობა წინ მიდის, ბ-ნი გიორგი წერეთელი- კი ისეთი სისწრაფით გარბის უკან, რომ თავის კუდაბზიკობას, მგზავრის წერილებში გამოყვანილს უკან მოექცა. აბა ამაზედ არის ნათქვამი:“სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო“. მართლა და რა დღეს მოესწრო ჩვენი კრიტიკანი: კუდაბზიკობის მასხრად ამგდებელი ყმაწვილობაში, თავისს სიბერეში შეიქმნა მოტრფიალე ამ სამარცხვინო კუდაბზიკობისა. ასეთი დახვსება იცის კაცის ბრმა ბოროტებამა!

ნათქვამიდან მკითხველი დაინახავდა, რომ იმ დროს და იმ გარემოებაში, რომელშიც იმყოფებოდა საინგილო წარსულს საუკუნეში, ძლიერ შესაძლებელი იყო გაჩენილიყო და აღზრდილიყო გლეხთა შორის(თავადაზნაურობა არც მაშნ იყო საინგილოშ და არც ეხლა არის) სწორედ იმისთანა უშიშარი ხასიათის გოგო, იმისთანა მამულის

მოყვარული, როგორადაც დავასაუთაურეთ ჩვენი ინგილო ქალი. ვგონებ, რომ ბელეტრისტულს ნაწარმოებს სინამდვილის მხრივ ამაზედ მეტი არ მოეთხოვება არც ჩვენში და არც სხვაგან. ყველა მიგნებულს

ქათმებსა ჰგვანან, ასე რომ თუ უცხოელმა ქართველები ამ სურათებით გაიცნო, იმ აზრზედ დადგება, რომ ამისთანა მახინჯი, მხდალი, გაციებული და გამოთაყვანებული ხალხი ძნელად მოიძებნება ქვეყნიერებაზედაო. ეს წუნიაობა „კვალისა“ იმასა ჰგავს, რომ ქაჩალი თხელს თმიანს მელოტობას უკიჟინებდეს.

მოთხრობა ტენდენციურიაო. ვინ ამბობს ამასა? ბ-ნი გიორგი წერეთელი, ის ვაჟ-ბატონი რომელიც თავისს მთავარ მოქმედებაში ყურ-მოჭრილი ყმა იყო ვიწრო, წინდაუხედავი, მყვირალა და მავნებელი ტენდენციისა. დიაღ, ჩემი მოთხრობა განსაზღვრული მიზნით არის დაწერილი; მაგრამ ამ მიზანს არავითარი მსგავსება არა აქვს წერეთლისებურს ჰეროსტრატულს ტენდენციასთანა. იგი აგრეთვე არ ეკუთვნის იმ გვარ ნაწარმოებთა, რომელნიც არიან ნაყოფნი სუბიექტური კაპრიზისა, გუნებიერობისა და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ აერთებთ. ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისათვისაო. ამ პრინციპს ადგილი შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავახწევთ აწინდელს, მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველთ ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევებს და უვსებს სასოებით მომავალზედ, ზნეს და ხასიათს უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში. არც ერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესოებისათვის. აი პრინციპი, რომელიც უნდა თვალ-წინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც კი საზოგადოებას ემსახურება თავისი კალმით.

რაში მდგომარეობს ტენდენცია ანუ მიზანი ჩემის პაწია მოთხრობისა? რა განზრახვამ დამაწერინა იგი?

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კაი ხანია აღმოჩნდნენ საქართველოს კეთილის მყოფელნი, აშორდიები, რომელნიც მეგრელებს ჩასჩიჩინებდნენ: თქვენ ქართველები არა ხართ, განზედ გადექით, განცალკევდით, განსწყვიტეთ ქართველებთან ძველთაგან ძველი კავშირი. ბუნებისაგან შექმნილი და ღვთისგან ნაკურთხი, დაარღვიეთო. სწორედ ამისთანავე კეთილის მყოფელნი აღმოუჩნდნენ ბოლოს წლებში ჩვენს აღმოსავლეთის ძმებს - ინგილოებს, რომელნიც ჩასძახიან, რომ თქვენ ჩამომავლობით თათრები ხართო და არა ქართველებიო, წირვა-ლოცვა თქვენში უნდა

სწარმოებდეს თათრულს ენაზედ, უნდა იბეჭდებოდეს თქვენთვის წიგნები თათრული ანბანითაო და სხვანი. ეს უცნაური და უკუღმართი წადილი მარტო საინგილოსათვის არ არის საშიში და მავნებელი. როგორც სამეგრელოს განშორება აზარალებს არა მარტო მეგრელებს, არამედ დაასუსტებს სხვა ქართველებსაც, ისე იმოქმედებს ინგილოების განცალკევება და მოწყვეტა ჩვენის ქვეყნის ბედზედ. იგი ღირსია დიდი ყურადღებისა და ჩვენი ლიტერატურა-კი ყურსაც არ იბერტყავს. ასე გასინჯეთ, რუსული გაზეთებიდგანაც ვერ გადმობეჭდავს ხოლმე იმისთანა სამართლიანს მსჯელობას საინგილოს შესახებ, რომელიც ძლიერ სასარგებლოა ამ მხარისათვის და ჩვენთვისაც. მაგალითად, ზაფხულის დამდეგში დაბეჭდილი იყო საინგილოს შესახებ „Неделя“-ში წერილი, რომელშიაც ავტორი დიდს გულის წუხილს აცხადებდა: ინგილოებს, ჩამომავლობით და ენით წმინდა ქართველებს, ქართულს არ ასწავლიან სკოლებში, მარტო რუსულს ენას ანდომებენ დროსაო, და რადგან ამ უკანასკნელს ენას, სიძნელის გამო ვერა სწავლობენ ბავშვები, სკოლა გამოდის იმდენად უნაყოფო, რომ არც ერთი ქართულის წერა-კითხვის და არც რუსულის მცოდნე აქ არ მოიპოვებაო. ამის გამო მცხოვრებთა აღწერის დროს თვითონ პოლიცია იყო იძულებული სიებში თავისი ხელით ჩაეწერა ცნობანი ყველა ინგილოზედ, რამაც საქმე ძლიერ გააძნელა და დააგვიანაო. არც „კვალმა“ და არც სხვა ქართულმა პერიოდულმა გამოცემამ ყურადღება არ მიაქცია ამასა.

სწორედ ხსენებულმა უდიერმა და ყოვლად უსამართლო ტენდენციამ მაიძულა მე დამეწერა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. მოთხრობაში მე მსურდა თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მაღლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი და ერთგულება საერთო მეფისადმი. ლიტერატურულს წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ეადვილება ხალხს, ბევრად უფრო გასაგებია, უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედობს მასზედ და დიდს ხანს რჩება მისს გონებასა და სახსოვარში. მე იმედი მაქვს, რომ ერთის წლის განმავლობაში ბევრი არ დარჩება საინგილოში ქალი, თუ კაცი, რომელსაც ჩემი მოთხრობა არ მოესმინოს და არ დაეხსომოს, სამწუხაროდ ღირსეულთა მეუღლეთა.

მე ვგონებ, რომ ჩემს გულისწადილს, მიზანს მოვეწიე რამდენადაც ეს შეიძლებოდა პატარა მოთხრობაში და ამავე დროს არაფერი ვსთქვი იმისთანა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულს ფაქტებს, ქართულს ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულს შესაძლებლობას და ფსიქოლოგიას ხალხისას და მომქმედის პირებისას. ვგონებ იმასაც, რომ მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ჩვენს ხალხს აწინდელს მდგომარეობაში. ასე ვფიქრობ მითუმეტეს ახლა, როცა „კვალის“ კრიტიკანებმა ვერც ერთი ნამდვილი შეუსაბამობა ვერ აღმოაჩინეს მოთხრობაში, თუმცა ეს შეუსაბამობა უძებნიათ შიგ დიდი წყურვილით, სულ-წასულობით და მოუთმენლობით, - ამითი მათ ერთხელ

კიდევ ისახელეს თავი მკითხველის საზოგადოების წინაშე უძლური ბოროტებით, და, იმედია, კვლავაც ისახელებენ.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:

ქ.რუსთავის N20 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: **ქეთი ზარნაძემ, ანა გოგოლაძემ, ელენე ცხვედიანმა და ნატალია მამუკელაშვილმა**